სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

24 ივლისი 2023 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 120

მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო განაცხადების მოხსნის შესახებ

„მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის N201/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების, „2023 წლის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 2 ივნისის N87 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის 2023 წლის 21 ივლისის სამსახურებრივი ბარათის (N914194) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო განაცხადები:

N	პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	კონკურსიდან მოხსნის მიზეზი
1	SPG-23-1035	"მეცნიერება სკოლაში - მეცნიერება სახლში"	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად
2	SPG-23-1956	ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“ OJS სისტემაში	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად

2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ერეკლე ასტახიშვილი